




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 43

2016 წლის 2 ივნისი

ხაშური


„ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული ობიექტის განხორციელების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“

საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში, ხდება ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევეში ჭაბურღილის და წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოების განხორციელება

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი-მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 27-ე მუხლის „კ“ პუნქტის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების და „რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აგვისტოს №1750 განკარგულების შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხაშურის მუნიციპალიტეტში 2016 წელს განსახორციელებელი პროექტები და საპროექტო წინადადებები, დანართი №1-ის შესაბამისად, წარედგინოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.
2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე

